ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომა

ო ქ მ ი N5

30 მაისი

2023 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ. სამტრედია 30 მაისი,

2023

წელი.

მიმდინარე წლის 30 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე, გოჩა არველაძე, ჯონი ახობაძე, ტარიელ ცომაია, დავით ჯანელიძე, ირაკლი მელაშვილი, ბექა თევზაძე, აკაკი მინაშვილი, გივი ჯულაყიძე, ქეთვან კუტალაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა)ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ ხელმძღვანელი ივანე კილტავა.

2. ა.(ა)ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს ხელმძღვანელი ტატიანა გოგუაძე.

3.მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დავით ბაღდავაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის“ 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2.,,არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრთა 10(ათი) ხმით დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-6223142146 22/05/2023წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება ააიპ „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა-ს“ 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ საკუთარი შემოსავლების გაზრდას 21.00 ათ.ლარით, შესაბამისად ხარჯების ნაწილში სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 21.00 ათ.ლარით. ასევე ითხოვს მუხლობრივი ცვლილების შეტანას, კერძოდ სხვა საქონელი და მომსახურებაში კულტურულ, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონიძიებების ხარჯების შემცირებას 4.05 ათ.ლარით და შესაბამისად სხვა ხარჯების მუხლში სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 4.05 ათ.ლარით. ზემოთ აღნიშნული თანხა მიღებულია საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციიდან, ფრენბურთის უკეთ განვითარებისათვის და ხელშეწყობისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის N62-62231421415 22/05/2023წ. წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235510 განკარგულებით დამტკიცებულ 2023 წლის სუბსიდიის გეგმაში შიდა მუხლობრივ ცვლილებას და გეგმის მოწესრიგებას, კერძოდ საქონელი და მომსახურეობის შემცირებას 0.2 ათ.ლარით და შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის გაზრდას 0.2 ათ.ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე.

პროექტის ისრგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა 10 (ათი) ხმით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის თავმჯდომარე: ***/მერაბ უღრელიძე/***

სხდომის მდივანი: ***/ლია ყურულაშვილი/***